EP GEORGIA GENERATION

JSC "EP GEORGIA GENERATION"
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
ID Code: 405182626

სს „ეპ ჯორჯია გენერაციი"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 19
0186 თბილისი, საქართველო
სარ. კოდი: 405182626

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 17331
"24" 09 2021
2/100 ფ.
03

N 3001353
20.09.2021.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
მის.: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6.

ბატონო ლევან,

სს „ეპ ჯორჯია გენერაციას" „ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების შეცვლასა (წარმადობის გაზრდა) და ქვესადგურის ექსპლუატაციაზე" 2018 წლის 18 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-578 ბრძანებით დამტკიცდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების აღების შემდგომ კომპანია უზრუნველყოფს ნებართვით გათვალისწინებული პირობების შესრულებას. ამასთან, ჰიდროელექტროსადგურზე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე პერიოდულად ტარდება გარკვეული სამუშაოები, რათა კომპანიამ შეძლოს როგორც ჰესის უწყვეტ და უსაფრთხო რეჟიმში მუშაობა, ასევე გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინება და გარემოსდაცვით სფეროში არსებული კანონმდებლობისა და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი ვალდებულებების შესრულება.

სამუშაოები ასევე ტარდება გენერაციის ეფექტურობის ასამაღლებლად (დადგმული სიმძლავრისა და გამომუშავების გაზრდა ბუნებრივი რესურსის მოხმარების გაზრდის გარეშე), რაც კომპანიის მიერ გატარებული მდგრადი განვითარების პოლიტიკიდან გამომდინარეობს.

სწორედ ამ მიზნით ჰიდროელექტროსადგურზე 2022-2023 წლებში იგეგმება გეგმიური სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება, კერძოდ N3 ჰიდროაგრეგატის შემადგენელი ნაწილების ტექნიკური გაუმჯობესებისთვის სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება, რაც ზრდის მის ნომინალურ სიმძლავრეს. საბოლოო ჯამში კი იზრდება ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წლის 18 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-578 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ჯამური სიმძლავრე იზრდება, საქართველოს კანონი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად საქმიანობა ექვემდებარება კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.

დანართი:

- ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში;
- 1 CD რომელიც შეიცავს შემდეგ ელექტრონულ ინფორმაციას:
  - ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში;
  - ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის კოორდინატები (Shp ფაილები);
  - გეოლოგიური კვლევის შედეგები;
  - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

პატივისცემით,

მიხეილ ბოცვაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

შემსრულებლები: გარემოსდაცვითი მმართველი მარიამ მჭედელიშვილი ტელ: 5773510 55